საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 31
09/01/2019

31-09-2-201901091531

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძე

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასა და ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. **პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომმართა სს ,,სილქნეტი“-ს საოპერაციო მიმართულების დირექტორმა ქალბატონმა ნათია კავთიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე განლაგებული 28 (ოცდარვა) ცალი გარე განათების ბოძზე არსებული წერტილოვანი მდებარეობა) ესაჭიროებათ საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად და ითხოვა მისი სარგებლობის უფლებით გადაცემა, პირდაპირი განკაგვის წესით.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 56 ლარის ოდენობით (თითოეულ გარე განათების ბოძზე წერტილოვანი მდებარობით სარგებლობისათვის წლიური 2.0 ლარის ოდენობით). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

გიორგი ფაცურია

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასა და ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე განლაგებული 28 (ოცდარვა) ცალი გარე განათების ბოძზე არსებული წერტილოვანი მდებარეობა) სს ,,სილქნეტი“-ს (ს/ნ 204566978) გადასცეს ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ხოლო აღნიშნული უძრავი ქონების ქირის წლიური საფასური განსაზღვროს 56 ლარის ოდენობით. (თითოეულ გარე განათების ბოძზე წერტილოვანი მდებარობით სარგებლობისათვის წლიური 2,0 ლარის ოდენობით).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18188608, 01/11/2018 18:12:46

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სს სილქნეტი
სამართლებრივი ფორმა:	სააქციო საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	204566978
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	02/04/2009
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქ., №95

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: Law@silknet.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდელი სამართლებრივი ფორმა	**ოპერაცია**	**რეორგანიზაციის შემდგომი სამართლებრივი ფორმა**	**თარიღი**
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	გარდაქმნა	სააქციო საზოგადოება	08/07/2010

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	**ოპერაცია**	**რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი**	**თარიღი**
შპს ვიტელ ჯორჯია (204532728)	შერწყმა	სს სილქნეტი (204566978)	04/12/2015
შპს საქართველოს მედია ქსელი (404462764)	შერწყმა	სს სილქნეტი (204566978)	20/12/2016
შპს ჯეოსელი (203841940)	შერწყმა	სს სილქნეტი (204566978)	01/11/2018

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ესაკუთრე : სს სილქნეტი (საქართველო) 204566978

საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული მთელი არსებული მოძრავი ქონება და მთელი ქონება რასაც მომავალში შეიძენს.არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული მთელი არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და სამომავლოდ შეძენილი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.**

საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 1231231669707, ნოტარიუსი ირმა გოგია, 170818338, 19.07.2017**

შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში №1231231669707 ცვლილებების შეტანის შესახებ, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 180268797, 15.03.2018

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R18101611 19/03/2018 19:37:50**

კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595

მესაკუთრე : სს სილქნეტი (საქართველო) 204566978

საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული მთელი არსებული მოძრავი ქონება და მთელი ქონება რასაც მომავალში შეიძენს.არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული მთელი არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და სამომავლოდ შეძენილი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.**

საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 1231232194508, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 180279731, 16.03.2018**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R18239121 05/07/2018 17:50:51**

კრედიტორი : სს ბაზისბანკი (საქართველო) 203841833

კრედიტორი : სს ლიბერთი ბანკი (საქართველო) 203828304

კრედიტორი : სს ვითიბი ბანკი ჯორჯია (საქართველო) 202906427

კრედიტორი : სს ტერაბანკი (საქართველო) 204546045

კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595

კრედიტორი : სს იშბანკი საქართველო (საქართველო) 404496611

კრედიტორი : სს პაშა ბანკი საქართველო (საქართველო) 404433671

კრედიტორი : Pasha Yatirim Bankasi A.S. (პაშა ბანკი თურქეთი) (თურქეთი) 9400019073

№ 2355/14-6 "11" 12 2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ გიორგი ფაცურიას

ბატონო გიორგი,

თქვენი 06.11.2018 წლის N5644 წერილის პასუხად სს „სილქნეტი" მოგმართავთ თხოვნით, საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) თანდართული სქემატური ნახაზის შესაბამისად, ოჯარით (პირდაპირი განკარგვის წესით, აუქციონის გარეშე) გადმოგვცეთ თქვენს საკუთრებაში არსებული 28 ცალი გარე განათების ბოძი, ორი წლის ვადით.

დანართი: სქემატური ნახაზი

პატივისცემით,

ნათია კავთიაშვილი

საოპერაციო მიმართულების

დირექტორი

9223

12 12 18

საკონტაქტო პირი: ზვიად კიკნაძე

570 70 45 44



ანბმბელია საპროექტო საპერიოდ 12-იანი კაბელის მონტაჟი
ბულ გარე განათების ბოძებზე
განათების ბოძები 28 ცალი
მონტაჟებელი ან 12-იანი კაბელი 910 მ.

პროგნოზული ნიშნები

- არსებული განათების ბოძი
- საპერო საპროექტო ოკ-12
- სადა ბაჩილი ასფალტი

1-2

სს სადენადგილო კომპანია ალდაგი
თამარ მეფის ქუჩა

	CRM ID:	ფურცლები
სახაზო ნაგებობები	209389	2
სანებართვო ნახაზი	სს. სადენადგილ ალდაგი 10/30/2018	


N
W
S
40
40
40
40
30
30
22
20
18
16
14
16
23
23
22
24
21
19
17
15
12
10
23
1:75

2466/14-6
თარიღი: 24 12 2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

SILKNET

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი 13.12.2018 წლის N6163 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სს „სილქნეტი" თანახმაა იჯარით გადმოგვცეთ ჟორდანიას ქუჩაზე თქვენს საკუთრებაში არსებული 28 ცალი გარე განათების ბოძი ორი წლის ვადით, თქვენს მიერ შემოთავაზებული პირობების შესაბამისად.

დანართი: სამეწარმეო ამონაწერი

პატივისცემით,

ნათია კავთიაშვილი

საოპერაციო მიმართულების

დირექტორი

9650
25 12 18

საკონტაქტო პირი: ზვიად კიკნაძე

570 70 45 44

საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 6163
13/12/2018

6163-09-2-201812131147

სს ,,სილქნეტი“-ს საოპერაციო მიმართულების დირექტორს

ქალბატონ ნათია კავთიაშვილს

ქალბატონო ნათია,

თქვენი მიმდინარე წლის 11 დეკემბრის N2355/14-6 წერილის პასუხად, რომლითაც გვამცნობთ, რომ საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად(საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) წერილზე თანდართული სქემატური ნახაზის შესაბამისად გესაჭიროებათ ქ.ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე თაბუკაშვილის ქუჩაზე(ამჟამად ჟორდანიას ქუჩა) განლაგებული 28(ოცდარვა) ცალი გარე განათების ბოძი და მოგვმართავთ თხოვნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გაგიფორმოთ ხელშეკრულება, გაცნობებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია პროექტის სახით საკითხს განსახილველად გაიტანს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

ასევე გაცნობებთ იმასაც რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად წარუდგენს პროექტს რომლითაც ქ.ლანჩხუთის ადმნისტრაციულ ერთეულში მდებარე ჟორდანიას ქუჩაზე(ყოფილი თაბუკაშვილის ქუჩა) განლაგებულ 28(ოცდარვა) ცალ გარე განათების ბოძებზე არსებულ წერტილოვან მდებარეობას, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობით წლიურად 56 ლარის ოდენობით (თითოეული გარე განათების ბოძზე არსებული წერტილოვანი მდებარეობით სარგებლობისათვის წლიური 2,00 ლარის ოდენობით) , გადმოგცემთ 2(ორი) წლის ვადით იმ პირობით თუკი თქვენს მიერ საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად(საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) გარე განათების ბოძებზე არსებული წერტილოვანი მდებარეობით სარგებლობა არ დააზიანებს და ხელს არ შეუშლის აღნიშნულ გარე განათების ბოძებზე როგორც უკვე არსებულ საკაბელო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას ასევე სამომავლოდ სხვა წერტილოვანი მდებარეობით სარგებლობის შესაძლებლობას.

გამომდინარე აქედან, საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით, თუკი თქვენთვის მისაღები იქნება ასეთი პირობები, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ზემოთაღნიშნულ პირობებზე თანხმობის წერილი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

პატივისცემით,

სარიშვილი ალექსანდრე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა